

000000000  
000000000



# სექტემბერი **XXIV**

ღილაკი უროვას და გმირობას,  
ცუთალების ცეცხლად რომ ინთება,  
ლენინის პარტიის ურილობას  
ღილაკი, ღილაკი, ღილაკი!

№ 6 (1352) გ 16 60 1971

**სექტემბერი**

გამოცემის 48-ე წელი ფასი 20 კპპ.



## ა ა თ რ ც

საესტრადო სიმღერების შემსრულებელი ნიკო ჩუპჩიკოვი მელოტი გახლდათ. ნიკოს დაბეჭითებით სწამდა, რომ მის პოპულარიზაციას ხელს უშლიდა მხოლოდ და მხოლოდ მოტვლებილი თავი. ეს პრომღემა მსახიობს-დღისით ისე არ ტანჯავდა, როგორც დაშით. თვალს მოხუჭავდა თუ არა, მირდაპირ სიზმრებზე გადადიოდა. სიზმარში კი ყველაფერი შეიძლება ნახო, ჩუპჩიკოვი თავის პერსონასაც ხედავდა და კვერცხსაც, რომელიც, ამავე დროს, მისივე თავი იყო. იგი ცდილობდა კვერცხს, თმების ადგილას, შავი მელანი წაესვა, მაგრამ კვერცხი მელანს არ დებულობდა. ერთხელ კი მან ეს კვერცხი, ანუ თავისი თავი, გატეხა და თაგზე წაისვა... თმები იძამვევ ამოვეიდა. აი, ახლა კი უკვე აუდიტორის წინაშე გამოდის, მაგრამ თმები? ისევ გაძრება. მაყურებლები ყეირიან და ნიკოს კვერცხებს ესვრიან. ო, როგორ გვანან ეს კვერცხები მოტვლებილ თავებს.

რამდენჯერ ეცადა ნიკო, კვანტი დაედო ბუნების კანონისათვის. იგი ყველაზე უახლეს და უფერურ საშუალებებს ხმარობდა: ეს „ქარმაზინიო“, ეს „ბიოტოლიო“, ეს „ბიორინიო“ და სხვა, მაგრამ ნიკო დარწმუნდა, რომ მათ ყველას პქონდათ ერთი სახელი: „ილუზია“.

ის დღე მართლაც მშვენიერი იყო ნიკოსათვის. ზღვისპირეთში საგასტროლოდ წასული მსახიობი პლაზე გაწოლილიყო. მზის თაკარა სხივები საცრად აელგარებდნენ ნიკოს თავს. ჩუპჩიკოვმა სინაულით მოისვა ხელი კეფაზე და ამოიხვენშა, სწორედ ამ დროს მასთან გიღაც უცხოელი მიიღიდა და დამტკრეული რუსულით მიმართა: „ნე კორომო, ვი პრიექტ კომნე. ია ვამ პომოგაი!“ მან ნიკოს თავისი სავიზიტო ბარათი მიაჩენა და გაუჩინარდა.

უცხო ენების მცირდნე ამხანგმა ნიკოს ბარათზე წარწერილი სიტყვები უთარებნა: „ფილიპ პიუტენი, მუდმივი ნეილონის პარიკი, ლე-პიკის ჭერა 28. პარიზი“. პარიზში კი არა, მთვარეზე გაფრინდებოდა ნიკო, ოღონდაც ეს სულისამღვრევი თავის სიტიტვლე როგორმე დაეფარა.

ო, როგორ უფრთხილდებოდა უცხოურ გაღუტას ნიკო! — არა ეითარ სუვენირს, არავითარ ცდენებას არ შეეძლო თუნდაც სულ მცირდი ნაწილი დაეკლო მისთვის.

და, ბოლოს, დადგა დიადი წუთი: აცახცახებული მსახიობი ტაქ-სში შევარდა და მხოლოს, როგორც იქნა, გააგებინა, რომ მას უნდა

ლეპიგის ჭურა. მხოლოდ ახლა მიხვდა ჩუპჩიკოვი უსასყიდლო მკურნალობის მთელ მშვენიერებას: პიუტენი ყოველგვარი ნარკოზის გარეშე უნერგავდა თმას. პროცედურა იყო არა მარტო მწამებლური და ძვირი, არამედ მორალურადაც მძიმე.

სამაგიეროდ ისეთი ქოჩორი გამოვიდა, რომ ნიკოს მსგავსი სიზმარდაც არ უახავს. მოღერლის საქმე სულ წინ და წინ მიიწვედა, მალე იგი ფილმშიც გადაიღეს. ამან კიდევ უფრო გაზარდა ნიკოს პოპულარობა.

იმ ღირსშესანიშნავ ზამთრის ღამეს, სოლისტს სამჯერ გაამჟორებინეს „ამორე“ (რომელიც, როგორც ცნობილია, იტალიურად ნიშნავს „სიყვარულს“), ხოლო შემძღვევა კლუბის სათადარიგო კარებიდან გაძვრა და როდესაც ჭურაში გავიდა, შვებით ამოისუნთქა. წყვედიადად ჭელელი შესახვევიდან ალერსიანად იციონდა ტაქსის ზურმუხტოვანი თვალი. „გადავრჩი“, აღმოჩდა ნიკოს.

მაგრამ ეს რა ხდება! თაყვანისმცემელ გოგონათა გროვა თავს დაესხა ნიკოს. ხელ-ფეხი თითქოს შეეკრესო, ადგილიდან ვეღარ იძღროდა.

— მიშველეთ! — ამოიკნავლა მომღერალმა.

— სუვენირი, რაიმე სუვენირი! — შესთხოვდნენ ქალიშვილები. უცბად მთვარის შექმნები რაღაც მეტალის საგანი აპრიალდა. მომღერალს გააჟრულოა. აკრიჭინდა მაგრატელი და მისი შესანიშნავი ქოჩორის ნაწილი თმებს ჩამოცილდა.

— მეც, მეც მინდა! — ყვიროდნენ ფანატიკოსები და მაკრატელიც კრიჭინებდა და კრიჭინებდა...

— უ, თქვე შტერებო! — ყვიროდა მკერდისეული ტენორით სოლისტი. — იდიოტებო! ეს ხომ ნეილონია!.. მიშველეთ!..

როდესაც ათლეტური აღნაგობის ტაქსის მძღოლმა ქალმა მიფანტ-მოფანტა თაყვანისმცემლები, ჩუპჩიკოვი უკვე გონებადაკარგული ეგდო და თავზე ორი ღერი თმა შერჩეოდა. მძღოლმა სიბნელეში, როგორც იქნა, მოძებნა ასფალტზე დაგდებული მაგრატელი, კიდევ ერთხელ აკრიჭინა და ქოჩორის უკანასკნელი ნაშთი მძღოლმა ჩაიჯიბა, შემდევ თავისი სახელოვანი კლიენტის უგრძნობი სხეული შეაგდო მანქანაში და პედალს ფეხი დააჭირა...

## კურამიგამოკიდებული

**ძვირფასო** მყითხველო! სა-  
თაურმა რომ არ შეგაცდინოთ და  
ცისკენ არ დაიწყოთ ყურება, მინ-  
და პირდაპირ გითხრათ: ჩემი ფე-  
ლეტონის სამი გმირი, (სულ ხუთ-  
ი არიან) უიულ ვერნის გმირების  
მსგავსად, კატასტროფაში მოხვე-  
დრილ რაიმე საპარი ხომალდის  
ექიმაჟს არ წარმოადგენს. ისე კი  
მათ გარშემო შექმნილი ატმოს-  
ფეროს მიხედვით, საოცრად ჰგვა-  
ნან ჰაერში გამოკიდულებს.

მოვლენა, რომელთანაც სკემე  
გვაქვს, ვფიქრობ, პირველია ჩვე-  
ნი დედაქალაქის ცხოვრებაში და,  
უკანასკნელიც რომ იყოს, ამიტომ  
გამომაჯეს იგი ფართო საზოგადო-  
ების სამსჯავროზე:

დიახ, ისინი ხუთი იყვნენ: ხო-  
ნია დარჩია — ოჯახის უფროსი;  
გუგული ანუ მაია — მისი ქალა-  
შვილი; მერი და ანზორ ჩხივაძე-  
ები — მისი დისტვილები და ლიანა  
მეფარიშვილი — მისივე ძმის შვი-  
ლი. ეს ერთი სისხლისა და ხორ-  
ცის ადამიანები წლების მანძილზე  
ტებილად ცხოვრობდნენ სონია  
დარჩიას ადამისლროინდელ ქო-  
ში, რომელიც კლდიაშვილის ჭუ-  
ჩის № 8-ზი იყო შეყუული.

— ნუ გეშინიათ, შვილები! —  
ხშირად ამნენებდა სონია ახალ-  
გაზრდებს, — ყველანი საბინაო  
აღრიცხვის ოქროს სიაში გართ შე-  
სული. მალუ მტერი მოგიკვდეთ,  
მალუ ორი რომითახანი ბინა ჩვენ  
მივიღოთ. ერთში მე და ჩემი გუ-  
გული შევალთ, მეორეში კი —  
თქვენ, ჩემო საყვარელო დის-  
შვილ-ძმის შვალები!

ეს სანატრელი დღეც დადგა:  
სონია დარჩიას მოფამფალუბულ  
ფურცლულს ბულდოზერები შეესი-  
ენ და თვალისდახამძამებაში აღ-  
გავეს იგი პირისაგან მიწისა.

— მერი, ლიანა, ანზორ! არიქა,  
ეზოში პასპორტებს აგროვებენ.  
აბა, ჩქარი მომეცით! — იყვრია  
გუგული, ანუ მაია.

...და 1965 წლის 16 იანვარს  
თბილისის პირველი მაისის რაიო-  
ნის გურმელთა დეპუტატების  
საბჭოს მიერ ხუთ სულზე გაიცა  
სამოთახანი ბინის ორდერი  
№ 4014 (ერმავალმშენებელი ქარ-  
ხნის დასახლების მე-18 კორპუსი).

— უიმე, გუგული, ერთად რა-  
ტომ გამოუწერიათ ორდერი? —  
შესძხა მერიმ დეიდაშვილს, —  
მე, ჩემს ძმასა და ლიანას, რო-  
გორც ცალკე ოჯახს, ცალკე ბინა  
გვერგებოდა. ეს შენც იცი.

— მერედა, ვინ გიშლით, აიღო  
ცალკე ბინა!

— ვიღა მოგვცემს, გოგო? ჩემ-  
ზე ორდერი უკვე გაცემულია.  
თუმცა, არა უშავს რა, დაიკო,  
ოცი წელიწადია, ერთად ვცხოვ-  
რობთ, შემდეგშიც ერთად ვიცხო-  
ვრებთ. ჩვენ სამს დროებით ერთი  
ოთახიც გვეყოფა.

— ვერ მოგართვეს! — უცებ  
ენა უჩვენა გუგულიმ ბიძაშვილ-  
ლეიდაშვილებს, — გვეყო, რაც  
მე და დედახემს თქვენგან სული  
გვაქვს გაწვრილებული. ახლა გუ-  
ლის სიგანიერეც რომ არ დაგვე-  
მართოს, გაზირიად უნდა ვიცხოვ-  
როთ სამ ოთახში. ახლავი აქედან  
მოუსვით!

მოსმა კი არა, ფეხები დამბ-  
ლოაცემულებივით დაუმძიმდათ.  
ლასლასით გავუყვნენ გზას და... სა-  
სამართლოს მიადგნენ.

ლენინის რაონის სახალხო სა-  
სამართლომ სამართლიანი განაჩე-  
ნი გამოიტანა:

...გაუქმდეს ორდერი № 4014  
და ორდერში შეტანილი პირები  
დაკმაყოფილებულ იქნენ არსე-  
ბული წესით გათვალისწინებული  
ფართობით.

ახლა სონია და გუგული დარ-  
ჩიებს შემოეყარათ გულზე, მაგ-  
რამ უმაღლეს სასამართლომდე  
მაინც მიაღწიეს...

უმაღლესმა სასამართლომ უმა-  
ღლეს დონეზე იმსჯელა: მომჩი-  
ვარნი ბინით დაკმაყოფილებული  
უნდა იქნენ აღმასკომის მიერ, რო-  
გორც ადრე საბინაო აღრიცხვაზე  
აყვანილი პირები.

აღმასრულებელმა კომიტეტმა  
ვერ აღმასრულა უმაღლესი სასა-  
მართლოს გადაწყვეტილება შემ-  
დეგი სრულიად სამართლიანი მო-  
ტივით:

...მოქალაქე დარჩიას ორ სულ-  
ზე არ მისცემია ბინა. და-ძმა ჩხი-  
ვაძეებსა და ლიანა მეფარიშვილს  
აქვთ ისეთივე უფლება ბინაზე,  
როგორიც დარჩიას. კეთილი ინ-  
დონ და ისინიც ახალმილებულ ბი-  
ნაში გადაიდნენ...

— ვინ გვიშვებს, თორემ ვინ მა-  
მაბაღლი არ გადავა! — გაიძახის  
სამეული და მოქემაბს: საბინაო  
აღრიცხვიდან მოხსნილებსა და ქა-  
ლაქიდან ამოწერილებს ხუთი წე-  
ლიწადია, სამუშაოზეც არავინ  
გვიღებს, ხუთი წელიწადია, მო-  
წვევეტილი ვართ ყოველგვარ სა-  
ზოგადოებრივ საქმიანობას, ხუთი  
წელიწადია, ჰაერში ვართ გამოი-  
დებულები. რა ვქნათ?

ბოლოს და ბოლოს, ვინ უნდა  
გასცეს პასუხი ამ კითხვაზე?

**გაიოზ ჭავერზაული**



— გვიქმიფისა, აბა, ვარლამთან!  
— ქორწილი კი არა აქმს, კეღმები აქმს.  
— რა განსვავებება, ქეღმებიც თმრებიან,  
მღერიან და ჩემომავნე!

ნახ. ღ. გარებულისა



ზოგინა ქუჩაში მოხეტიალე ღოთვებისათვის.



— ჯერ ერავერი ემოზონია მავანიაზე და  
რატო მღენდღაზე, მოქალაქეები?

— ისე, აროზილაჭთიკისათვის!

## ..ნიკოს ლექსიკონი..

გიუროპრატი — პიროვნება, რომელიც საკუთარი კაბინეტის იქით ვერ იყურება. მუხისგალობა — პროცესი, რომელსაც დასაწყისი აქვს, დასასრული კი არა. რიციორი — პიროვნება, რომელსაც ლოცვა-კურთხევით ხდებიან და წყველა-კრულვით ისექინება.

განილობრივება — უფარი დარისტინგიბის შედევრი.

ხელფასი — ყოველთვიური შემოსავლის დანიმატი (ზოგიერთავის).

შეადგინა ქლეაზონ თავაძევა



## ავი ევგრაძის ჭირივე

თბილი დღე იდგა, „თბილ გაზის“ წარმომადგენლით თბილი ხმა რომ შემოქმნა გოკიჩიძის ქუჩა № 25-ის ეზოს მცხოვრებთ:

— თბილი გულით მოვედით თქვენთან, ამხანავებო! — თქვენ თბილაზე-ლებმა, — მირთალია, შინ თბილი ღულები და ნავთქურები გიდგათ, მაგრამ, ბუნებრივია, ბუნებრივ გაზის უასს არ იტყვია!

მშპარიზებმა თბილი ღიმილი შეაგებეს სტუმრებს:

— გულობილი ადამიანები ბრძანებულსართ, მადლობის მეტი რა გვეთქმის!

... ამოქარეს მიწა, ჩაჰყარეს მილები. ბინებიდან გამოაშრანეს ნავთქურები, შეაბრანეს გაჭქურები...

მონტაჟი დამთავრდა. ახლა გაზს ჩართვენ და...

ჩართო კილაცამ ეზოში:

— არაფერი შეეგრძალოთ! სახლი ჩემია და კოტბალი თავით ეზოში გაზს არ შემოგაყავინებათ!

— რას ერჩით მეზობლებს, ქალბატონი! — ჰკითხეს თბილგაზელებმა.

— მე რას მერჩიან სანი, რად სურთ ჩემი სახლის კედლის დამანინჯება?

— პირიქით, გაზის მიღს ღამის არშაად გაფაყოლებთ ქადელს.

— არა! — თქვა ცივად ქალბატონია ევგენია ილიას ასულმა ჭავახიშვილმა.

მას შემდეგ წელიწადი და ოთხი თვე გავიდა, ხოლო ოქტომბრის საიმპინი სახლში სამართლოში ამ საკითხზე 1970 წლის 26 ივლისს შესული განცხადება ხელუხლებლად დევს.

— მოფეცე გაზი! — ყელს უწევს ცხრა ფაზი ევგენია ილიას ახულს.

— არა!

— მიეცი გაზი მეზობლებს! — ესვაწება საბინაო სამმართველო.

— არა!

— მიეცი გაზი მეზობლებს! — ევედრება რაიალმასკომი.

— არა!

— მიეცი გაზი მეზობლებს! — ემუდარება „თბილგაზის“ სამმართველო.

— არა!

— მიეცი გაზი მეზობლებს! — თხოვს გაბრიუქტი.

— არა! არა! არა! არა!

კმარა, კმარა ხევწნა-მუდარა, გოცირიძის ქუჩა № 25 სახლის მცხოვრებნი! ბოლოს და ბოლოს, ქალბატონი ევგენია თქვენი მეზობელია და, მოგეხსენებათ, კარგი მეზობელი კაშა ნათესავს ჯობა, ნუ შეეწუხებთ მას! იგი კერძო სახლის მფლობელია და უფლებაც დიდი აქვს, მრავ კი არა, შეუძლია ჭანჭველაც არ გატაროს სახლის კედელზე. რა მისი გრალია, თუ თქვენ გაზი არა გაქოთ? რაც შეეხება თქვენს ბინებში უქმად დადგმულ გაზქურებს, გამოიყენეთ სინი! დიაბ, გამოიყენეთ კარლებად, განჯინებად. შეაწყვეთ შიგ სურათ-სანოვავა, ხილი; შეაწყვეთ, რაც გნებავ, მეზობელს კი თავი რაანებეთ!

8. თერთორიზაციი

## იურილი ქონსალგაშია

**შეპითხება:** ვცხოვრობდი ჩემ-თვის და არავის ხელს არ ეუშლი-დი, პირიქით — მზრუნველობას ვიჩენდი ხალხისადმი. მართალია, ზედმეტ უსებში, მაგრამ მაინც იმპორტული საქონლით გამარა-გებდი.

ამას წინათ სოფ. ახალქალაქში ჩავიტანე სხვადასხვა სახისა და სხვადასხვა ხარისხის იმპორტული საქონელი.

ის იყო ვაჭრობა უნდა დამეწყო, რომ თავზე დამადგნენ და ჩემი ბარგი-ბარგი სულ სხვა მიმარ-თულებით გამისტუმრეს. მპირდე-ბიან დამსახურებისამებრ დაგა-ფასებთო მიპასუხეთ, მომცემენ თუ არა პრემიას? (მისამართს არ ვწერ, პასუხი გამომიგზავნეთ მო-კითხვამდე!)

### ჯულიეთა ნაზაროვა

**პასუხი:** აუცილებლად. ვაჭ-რობის თქვენისთანა მუშაკებს პრემიას განსაკუთრებულად, მოუ-კითხავად აძლევენ!

**შეპითხება:** ვცხოვრობდი და ვმუშაობდი დაბა სურამში. მეონ-და საკუთარი ავტომანქანა „ვოლ-გა“, რომელსაც სურგილისამებრ დავაქროლებდი.

ერთხელ გზავრებმა ზაქათოლა-ში წაყვანა მოხოვეს. მეც არ დავ-ზარდო და წავიყვანე. საფასურად 50 მანეთი მომცეს. უკნ მობრუ-ნებისას ლაგოლებში შევჩერდი, უნი-მაზიები შევათვალიერე, უნი-

ვერმაღშიც შევედი. ის იყო, სამუ-შაო დღე მთავრობებდა. მართ-ლაც მარაზია დაკეტეს და შე შიგ გამომდიწვდიეს. რა უნდა შექნა, ჯერ პირველ საროულზე ფეხსაც-მელების სექცია დავათვალიერე, შემდეგ დახლის უუთი გამოვწევ და ნავაჭრი ფული დაუთვლელად ჩავიდე ჯიბეში (შემდეგ შევიტავე 2,800 მანეთი ყოფილი). მერე მე-ორე საროულზე ტრიკოტაციის სექ-ციას მივაკითხე. იქ ჩანის სეიფი შევიტანე. ქურთუკი გავიხადე და სეიფის გახსნას შევუდექი. ოცდა-ათობიდე გასაღებით ვაჟირიტე, მაგრამ ვერ გავაღე. გაზი და ქო-ბიც მოვიშველი, მაინც ვერა-ფერს გახხდი. რალის გიზამდი, უანჯრის ჩეინის ბადურა მოვგრი-ხე და სუფთა ჰაერზე გავედი.

მერე გამახსენდა, რომ მაღაზია-ში ქურთუკი დამტანა, მაგრამ და-მეზარა მიბრუნება. ქურთუკის ჯი-ბეში უნახავთ გაზის ფულის გა-დახლის ქვითარი, სარაც ჩემი მი-სამართი და ვინაობა ზუსტად იყო აღნიშნული.

ახლა არც ქურთუკს მიბრუნე-ბენ, არც გაზის ქვითარს. რა უნდა ვენა, გაზის ქირა სელახლა უნდა გაღავინდოდა?

### უბანგი კირილეს ძა ჯილიძე

**პასუხი:** გაზის ქირას მაგიდ რამდენიმე წელს „გადაგახდევი-ნებენ“, ჩემთ უზანგა!

კონსულტანტი ვ. ხმალაძე

## დუშეთში გაღაზის გვაძეს

დუშეთში გაღაზია გვაძეს ისეთი ქარგი წიგნებით, რომ მისი დარი, ბადალი, ალბათ, ბევრგან არ იქნების.

ჭერამდე სავსე თაროებს ვერ შემოუვლი აღვილად, ისეთი დიდი უარით აქვს, ცხენ გაჭენდება ნამდვილად. ახლა სიგრილეს არ იტკეთ? ზედ მისწრება სიცხეში, გამერავი ქარი ნებივრობს მუდამ ცხირისა და ფალტვებში. ზამთარში, როცა ყინვა და ქარბუქი მახვილს ილესავს, შეხვალ და ტრევიამფრენტევით კაშარი გააქვთ ქილებსა.

აქ წელიწადის უკელა დროს ცომბარის სუსნი გზარავს და პირიდან ორთქლი ამოგდის, ძველი სამოვრის დარიადა.

არც სიცხის ბული დაგხულავს, არც ოფლის დენა გაღონებს, დახლის აქარე მუშაკებს ღმერითმა უმაგრის ჯან-ღონე.

3. პარაზოლი

## თეატრების გასაჟირი

მესამე მიკროუბანი დასახლებაა თემქისა, დაპირებებით ვისრჩობით, სიკეთე კმ არ გვეღირსა.

სინათლე სადარბაზოში ბუტაფის და ისიც ხანდახან, ზოგჯერ დასალევ წყალზედაც ყინვას დაუდევს ყადაღა.

გათბობაც ისე მოგვიწყეს, სულ აკანკალებთ პატარებს. სიობოგამტარი მილების სიცივეს უფრო ატარებს.

გასულ წელს ჩვენს მაღაზის როცა მოედონ ხანძარი, რა გვენა უტელეფონოდ სიტყვა ვერსაით დავძარით.

მესამე მიკროუბანი დასახლებაა თემქისა, დაპირებებით დაგვურდით, საქმით კი არა გვეღირსა!

უტელეფონოგრამობი მიიღო სირბო პარიზილები

## უცხოები იუმრი

ქალაქთონ მარსელიყოს დაბა-  
დების დღეზე ბეკრი სტუმარი  
ეწვია.

ერთი ახალგაზრდა ქალი უკე-  
ლიაზე მეტს ლიპარაკობდა. როდე-  
საც თვითონ დაიღლა, საზოგა-  
დოებას მიმართა:

— ძეირფასო საზოგადოებავ!  
ხომ კარგად გავაჩიარულეთ? მე  
რომ არ მელაპარაკა, ვინ გაგარ-  
თობდათ?

ამანებ იჯახის უფროსმა გული-

ანად გადაიხარხარა და უთხრა:

— მაშინ, ქალბატონო ელზა,

რადიომიმღებს ჩავრთავდით.

— რობორ გაატარეთ ზაფხუ-  
ლი, ბატონი ისკარ?

— ძალიან ცუდად.

— რატომ?

— ცოლ-შვილი სამ სხვადასხვა  
აგარაკე ისვენებდა და მათთა  
სირბილს მოვუნდა.

ცოლი: გრუზენდოლეს! სახლში  
ასე გვიან ბრუნდები და მოვრა-  
ლიც ხარ. კულტურული მამაკაცი  
ასე არ იქცევა.

შმარი: არც კულტურული ქა-  
ლი იწყებს საუბარს მოვრალ მა-  
მაკაცთან შუაღამისას.

გაეჭრებული მუშაობისას სა-  
წარმოში სასწრაფოდ მოწვიეს  
კრება და დაადგინეს, რომ სამუ-  
შაო სათებში კრების მოწვევა  
სატრიუად აიკრძალოს.

ახალგაზრდა შოტლანდიელი  
მამაკაცი შვებულებიდან დაბრუ-  
ნდა.

— როგორ მოგეწონათ ლონ-  
დონის ღირსშესანიშნაობები?

— ქალაქი ძალიან მომეწონა,

ორონი ხახია უცნაური.

— რატომ?

— ერთხელ, ღიას 3 საათზე,  
ვიღაც მამაკაცმა, რომელიც ჩემს  
გვერდით ოთახში ცხოვრობდა,  
ყვირილი ატესა, ილანდებოდა...

— შენ ამ დროს რას აყილე-  
ბდი?

— არაფერს, მშვიდად განვაგრ-  
ძობდი საქსაფონზე დაკვრას.

გერმანულიდან თარგმანი ცუდო  
არგანულილება

მეიიი: ჩემადე იყავით თუ არა  
ვინესთან ჩემევისთვის?

აგადებოცი: მეაფთიაქესთან  
ვიყვაო.

მეიიი: მეაფთიაქესთან? მერე  
და, რა გირჩი იმ სულელმა?

აგადებოცი: მიჩინა, თქვენ-  
თან მოვსულიყავი...

გელიძე კომერსანტან მიდის  
ქალიშვილი, რომელიც ძალით ში-  
ათხევს ახალგაზრდა ვაჟს.

— მამა, ნება მომეცი, წარმო-  
გვიდვინ უაკი, მას სათხოვარი  
აქვს შენთან!

სირცევილისგნ გაწითლებულ  
უაკი კომერსანტი ხის ამოღებას  
არ აცილის და უბნება:

— თუ თხოვნა თქვენს უელ-  
ლებას ეხება, თანახმა ვარ; თუ  
ჩემი ავტომანენანის თხოვას აპი-  
რებთ, უარს გეუბნებით!

ლავა. ვაგონ-ჩერტორანში შე-  
მოჩანს აქლოშინებული მგზავრი:

— ჩქარა, ჩქარა ქალმა გონება  
დაყარგა, გაქვერ თუ არა კონიავ? რო-  
ფიცანტმა გაუწიოდა ბოთლი.  
მგზავრმა სწრაფად დაცალა და  
უთხრა:

— დიდი მაღლობა! ყოველთვის  
ასე ვნერვიულობ, როცა გულშე-  
წუხებულ ქალს დავინახავ...

ფრანგულიდან თარგმანი  
ლ. სანდუკიანის

აშშ-ის პრეზიდენტმა ნიქსონმა ხელი მოაწერა კანონპროექტს,  
რომელიც 550 მილიონ ლოდარს დამატებით აძლევს თვეის სატე-  
ლიტებს. ქედან ლომის ულუფა იზრაელისა და სამხრეთ ვიეტნამის  
მარიონეტებს ერგოთ.

გაზეთებიდან



ნახ. ი. ერთიაზვილისა



— ქარეჩად ჩვენ მხოლოდ ფეხები გვერმი.

## დამრგვალებით დამრგვალებები

ქველებზე ციცქანი ხორცი ეკრა,

ჩინჩინი იყო კაცი...

რომ იტყვიან, კაცკაჭს იგი

გააძლებდა არც კა.

ჭოხზე აცმულ კოსტუმს ჰგავდა,  
მაგრამ ახლა ნახეთ! —

სადაც იყო მაღაზია,

დაუარა დახლებს,

მაგრამ განა აღელვებით?

მშეგიდად,

მშვიდად,

მშვიდად:

8 კაპიკან „ბორჯომს“

10 კაპიკად ყიდდა,

14 კაპიკან ლიმონას

20 კაპიკად ყიდდა,

28 კაპიკან ფუნთუშს

30 კაპიკად ყიდდა...

10! 20! 30!...

ამრგვალებდა ფასებს,

დამრგვალება ამრგვალებდა

თვით ნიკასაც ასე.

ხდიდა უფრო ჩასუქებულს,

უფრო სრულს და სავსეს;

ჩხირი იყო. ტროიიაა,

უკვირთ აქაც, იქაც...

ეს, ფასების დამრგვალებამ,

დაამრგვალა ნიკაც!



გთავარი  
რედაქტორი  
ნოდარ დუბაევი

სარედაქტო  
კოლეგია:

ზ. გოლიაშვილი  
(3/88. მდიგარი),  
ს. კლდიაშვილი,  
გ. გალაზონია,  
გ. ნიშნიანიშვილი  
(მთავ. რედ.  
მოადგილე),  
ნ. გველიძე,  
ო. ჭელიძე.

სატირისა და იუროლის  
რუნალი „ნიანგი“.

თაილისი, რესთაველი:  
პროსპექტი № 42.

თბილისი, სატირიკო-  
იუროსტიკულის კულტურული  
კულტურული უნივერსიტეტი  
(თბილისი). ტელ. 4-26-69-69  
99-76-69, რედ. მოადგილი  
93-49-32.  
საერთო განყოფილების  
93-10-78.

საქ. კა ც-ის გამაცხა-  
ლობა. იზДАТЕЛЬСТВО  
ЦК КП ГРУЗИИ.

გადაეცა ასაზურავ  
25/II-71 წ.

ხელმოჭირილია დასა-  
გვარა 22/III-71 წ.

გადალის ზომა  
70×108 1/8.

ფიზიკური ნაგაზი ფურ-  
ცელი 1,  
სააღრიცხვო-საგამოხვე-  
ვლო თაბანი 1,4.

საქ. კა ც-ის გამაცხა-  
ლობის სტამბა,  
მაგლისი, ლენინის ა.  
№ 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА  
ЦК КП ГРУЗИИ  
ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИ-  
НА № 14

შემ. № 666.

ზვ. № 01958.

ტირაზი 128 180



გიორგი შეთევაშვილი

СТРОДНЫЕ  
ОКЗЕМПЛЯРЫ

1971  
05137  
00610103  
ГИМБЕРС



თავისუფლების დემონის არ-  
გატურა.